№1 (7037) 17 იანვარი,
შაბათი, 2015 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის საახალწლო მილოცვა



ღვთივკურთხეულო ჩვენო სულიერო შვილებო, საქართველოში მცხოვრებო სხვადასხვა ერებისა და რელიგიების წარმომადგენელნო, უცხოეთში მცხოვრებო ჩვენო თანამემამულენო, დიდება და მადლობა უფალს ყველაფრისათვის. გულითადად გილოცავთ ქრისტეს შობას და ახალ წელს.

ყოველ წელს ჩვენ ველოდებით სიახლეს, ვთხოვთ უფალს ბედნიერებას. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ნება დაემორჩილება ღვთის ნებას, თუ ჩვენ გავაკეთებთ სიკეთეს. ეს სიკეთე ათმაგად დაგვიბრუნდება. ცხოვრების გზაზე ჩვენ შეიძლება შეგვხვდეს განსაცდელი, ნუ შეგეშინდებათ ამის. ეს ყველაფერი გაივლის და საქართველო იქნება ბედნიერი.

დღეს როდესაც ადამიანი დგას მრავალი პრობლემის წინაშე, უნდა გააძლიეროს ლოცვა. ჩვენ მოგვიახლოვდა ქრისტე შობის დღესასწაული, უნდა გავაძლიეროთ ლოცვა ღვთისადმი, მაცხოვრისადმი და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი და ჩვენ ვიქნებით ბედნიერნი.

ღვთის წყალობით ჩვენ დაგვიბრუნდება აფხაზეთი და სამაჩაბლო. საქართველო იქნება მთლიანი და გახარებული.

ახლა კი ავდგეთ ფეხზე და მოვისმინოთ დალოცვის ლოცვა:

„გარდამოიხილე ზეცით, ღმერთო, და იხილე და მოხედე ვენახსა ამას და განამტკიცე ესე, რომელ დაასხა მარჯვენამან შენმან.

მოწყალებისა კარი განგვიღე, კურთხეულო ღვთისმშობელო, რათა რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა. ამინ!

ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო, იხარეთ ორსავ სოფელსა შინა, ამინ!"

„ვაპატიოთ და შევურიგდეთ ერთმანეთს"

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე

„ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო: ქართველებო, აფხაზებო, ოსებო, ბერძნებო, რუსებო, უდიებო, სომეხნო, აზერბაიჯანელნო... ყოველნო შვილნო საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიისა, სამშობლოში მკვიდრნო და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, გიხაროდეთ!

„მოხედნა ღმერთმა და ყო ხსნა „სიტყვაი იგი ხორციელ იქმნა ერისა თვსისა" (ლკ.I,67). და დაემკვიდრა ჩუენ შორის" (ინ.I,14). დამთავრდა ძველი აღთქმის ჟამი და აღსრულდა წინასწარმეტყველთა მიერ ნაუწყები: ბეთლემის გამოქვაბულში ხორცშესხმული მოგვევლინა საუკუნეთა უწინარესი ღმერთი,- ყრმა იესო.

ზეიმობს ცა და ქვეყანა, ხარობს ღვთისმშობელი, რადგან დღეს ნეტარების საუფლოდან განდევნილი ადამის მოდგმა განღმრთობას იწყებს და ჩვენი დაცემული ბუნება სამეუფო ღირსებით იმოსება.

წმიდა ქალწულმა მარიამმა, „ძველის თანანადების გამომსყიდველმან და მთელი ქმნილებისათვის ცხონების მშობელმან, გახსნა პირველ ევას მიერ შეკრული კვანძი და სამყაროს მარადიული სიცოცხლის სათავედ და ახალ დედად მოევლინა" (წმ. ირინეოს ლიონელი). სწორედ მისი სახით დაიწყო ქრისტიანული ერა რომელმაც მანამდე არნახულ სიმაღლეებს აზიარა ადამიანი. ქრისტიანულ სწავლებაში სხვა დატვირთვა შეიძინა ოჯახურმა ურთიერთობამაც: „ცოლი როდია თავისი სხეულის უფალი,–არამედ ქმარი; არცა ქმარია თავისი სხეულის უფალი –არამედ ცოლი" (I კორინთ.7.4), _ გვასწავლის მოციქული და დასძენს:

„ვითარცა ეკლესია დამორჩილებულ არის ქრისტესა, ეგრეთცა ცოლნი-თასთა ქმართა ყოვლითა. ქმართა გიყუარდეთ ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყუარა ეკლესია და თავი თავისი მისცა მისთვის" (ეფ. 5.24-25).

ქმარი არის ოჯახის თავი, რადგან მას ღვთისგან დაკისრებული აქვს პასუხისმგებლობა, საჭიროებისამებრ ყოველთვის დაიცვას ცოლი და შვილები, იყოს ერთგული წინამძღოლი და მასაზრდოებელი;

ქალსაც არანაკლები დანიშნულება აქვს. მისი მთავარი ფუნქციაა შვილთა ყოლა, მათი აღზრდა და ოჯახზე ზრუნვა, რაც მის საზოგადოებრივ აქტიურობას არ გამორიცხავს.

როდესაც მეფე-დედოფალი ჯვარს იწერს, ისინი მღვდელთან ერთად სამჯერ გარშემო უვლიან ანალოღიას, რომელზეც სახარებაა დაბრძანებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი მზად არიან მთელი ცხოვრება ერთმანეთს და ღმერთს დაუკავშირონ. ქრისტიანული ოჯახი ეფუძნება მღვდელმოქმედებით მადლს, რაც ქორწინების საიდუმლოს გულისხმობს; აქ ხდება ეგოისტური „მეს"-გან სრული დაცლა, რადგან ერთი პიროვნება მთლიანად უძღვნის თავს მეორეს. ისინი სიყვარულით ერთიანდებიან ქრისტეში, რათა ერთად იზრუნონ ცხონებისათვის და მეუღლეობის საკვრელით დაკავშირებულნი წარდგნენ ყოველთა მეუფის წინაშე.

ქრისტიანული ოჯახი ეფუძნება მღვდელმოქმედებით მადლს, რაც ქორწინების საიდუმლოს გულისხმობს; აქ ხდება ეგოისტური „მეს"-გან სრული დაცლა, რადგან ერთი პიროვნება მთლიანად უძღვნის თავს მეორეს. ისინი სიყვარულით ერთიანდებიან ქრისტეში, რათა ერთად იზრუნონ ცხონებისათვის და მეუღლეობის საკვრელით დაკავშირებულნი წარდგნენ ყოველთა მეუფის წინაშე.

დიდი ბედნიერებაა ოჯახის შექმნა სიყვარულით, მაგრამ მთავარია ამ მადლის შენარჩუნება და გამრავლება. როდესაც ადამიანი შეყვარებულია, იგი მისთვის სასურველ პიროვნებაში ხედავს ისეთ თვისებებს, რასაც შესაძლოა სხვები ვერ ამჩნევდნენ. ამ დროს ხდება მეორე ადამიანში დაფარული შინაგანი მშვენიერების აღმოჩენა.

„რა კარგი უნდა იყოს ერთი იმედით, მსახურებითა და რწმენით ორი გულის შეერთება,–წერს ტერტულიანე. ჭეშმარიტად, ისინი ორნი არიან ერთ სხეულად განმთლიანებულნი, ხოლო სადაც ერთი სხეულია, იქ ერთსულოვნებაა. ისინი ერთად ლოცულობენ, ერთად იდრეკენ მუხლს, ერთად მარხულობენ, ერთმანეთს ამხნევებენ. თანასწორნი არიან ღმერთის წინაშე. თანაბრად ინაწილებენ დევნასა და ნუგეშს, არაფერს უმალავენ და არც ამძიმებენ ერთმანეთს, ხედავს რა მათ ერთობას, უფალი ხარობს, სახლს მშვიდობას მოჰფენს და მკვიდრობს მათთან ერთად".

ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში შემდგომი ეტაპი არის შვილიერება. ბავშვების დაბადება და მათზე მზრუნველობა სრულყოფის კიბეზე ამაღლების ახალი შესაძლებლობაა, რადგან მეუღლეთა ურთიერთსიყვარული, ამ შემთხვევაში, გრძნობის ხელახალ გადანაწილებას ითხოვს; ადამიანი კიდევ უფრო მეტად ემიჯნება ეგოისტურ „მეს" და კიდევ უფრო მეტად ფართოვდება მსახურების არეალი, რაც ღვთის სათნო ცხოვრებას განამტკიცებს. როგორი სიფაქიზით გვწრთვნის უფალი! როგორ ნელნელა და თანდათანობით ავყავართ მას უმაღლესი სიყვარულის საფეხურებზე, ყველა პირობას

2

ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი დაფიქსირებულია (იხ: 4–10 გვ.)

„ვაპატიოთ და შევურიგდეთ ერთმანეთს"

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე

გვიქმნის, რომ ჩვენი დაცემული მდგომარეობისაგან გვიხსნას და მარადიული ნეტარებისთვის მოგვამზადოს.

ასეთი ოჯახი, ასეთი ერთობა ქალისა და კაცისა, სიმბოლურად „მცირე ეკლესიად" იწოდება, რომლის სიმტკიცეც დაურღვეველია. თუმცა ფაქტია, რომ ჩვენს ყოფაში უფრო ხშირად გვხვდება ისეთი ოჯახები, სადაც უგულებელყოფილია პასუხისმგებლობა და მოვალეობები; ისინი მოკლებულნი არიან ღვთის მადლს და უსიხარულოდ ცხოვრობენ ან, საერთოდაც, ირღვევიან; უნდა ითქვას ისიც, რომ დღეს ბევრი ადამიანის ცხოვრების წესი ოჯახური სიწმინდის წინააღმდეგ არის მიმართული. ბოლო პერიოდში კი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, რაც ქორწინებისთვის ახალგაზრდების მოუმზადებლობით არის განპირობებული.

განვიხილოთ რამდენიმე გარემოება:

1. ქორწინებაში მყოფთ ხშირად მხოლოდ გატაცება აკავშირებთ და თანაცხოვრების პირობებშიც ვერ აღწევენ იმ სიყვარულს, იმ ერთგულებასა და თავგანწირვას, რისთვისაც არიან მოწოდებულნი, ამიტომაც მალევე კარგავენ ერთმანეთისადმი ინტერესს და სცილდებიან.

2. ახლადშეუღლებულნი, მართალია, სიყვარულით ქმნიან ოჯახს, მაგრამ ვერ აცნობიერებენ, რას ნიშნავს მეუღლეობა, რამდენად დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ და რას მოითხოვს იგი თითოეული მათგანისგან; ისინი ადვილად კარგავენ იმ განწყობას, რაც ერთად მყოფობის პირველ პერიოდში ჰქონდათ; იწყება იმედგაცრუება, ერთმანეთში მრავალი ნაკლოვანების აღმოჩენა და დაუთმენლობა. გაღიზიანება იმ მდგომარეობამდეც მიდის, რომ ერთ დროს სანუკვარი ადამიანი, უკვე აუტანელი ხდება.

3. მეუღლეთაგან ერთი იჩენს ერთგულებასა და თავდადებულ სიყვარულს, მაგრამ მეორე ამ გრძნობებს სათანადოდ არ აფასებს და მხოლოდ თავისი ვიწრო ეგოისტური სურვილების ტყვეობაშია.

საერთოდ, მეცნიერულ-ტექნიკურმა წინსვლამ და მატერიალისტურმა მსოფლმხედველობამ ადამიანში სხვისი ფლობის სურვილი და მომხმარებლური სული გააძლიერა. დღეს უკვე ამგვარი მიდგომა შეეხო ოჯახის წევრებსაც და ეგოისტური მიზნებით თვით მათი გამოყენების მცდელობები გააჩინა. ასეთი დამოკიდებულება ოჯახურ ყოფას გაუსაძლისს ხდის.

4. ხდება ისეც, რომ მშობლები ზოგჯერ უხეშად ერევიან წყვილის ცხოვრებაში. მათ უჭირთ შვილთან ერთგვარი განშორება და ძველებური ურთიერთობის შეცვლა; ისინი კრიტიკულად აღიქვამენ ახალ ვითარებას და გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ხელის შემწყობნი ხდებიან ოჯახის დანგრევისა.

რა თქმა უნდა, მშობლების პატივისცემა და სიყვარული ბუნებრივიც არის და სავალდებულოც ყველასთვის; ასევე ბუნებრივია ახლობლების, მეგობრების, ნათესავების სიყვარული, მაგრამ ცოლ-ქმრულ ყოფა სრულიად განსხვავებულია; ამისთვის ბრძანებს წმინდა წერილი: „„მიატოვებს კაცი თავის მამას და თავის დედას შეუერთდება თავის ცოლს, რათა იყვნენ ორნივე ერთ ხორც" (ეფ. 5.31). ეს საიდუმლო დიდია და მისი დარღვევა - აკრძალული.

5. ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც ირღვევა ოჯახი არის ნარკომანია (ასევე ალკოჰოლიანი სასმელების ზედმეტად გამოყენება) და ბოროტი ძალების გავლენით ადამიანებზე ზემოქმედება. ორივე მდგომარეობაში პიროვნებას წართმეული აქვს თავისუფალი ნება, ოღონდ პირველ შემთხვევაში, ადამიანი ვერ უძლებს საცდურს და მასზე მიჯაჭვულობის გამო, ფაქტიურად, ნებაყოფლობით ამბობს უარს თავისუფალ ნებაზე, მეორე შემთხვევაში კი, გაუცნობიერებლად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ.

არადა თავისუფალი ნება ღვთისგან ჩვენთვის მონიჭებული დიდი საბოძვარია. უფალმა არ შეურაცხყო პიროვნების ღირსება, არ აქცია იგი მისი სურვილის უბრალო აღმსრულებლად, არამედ მისცა უფლება არჩევანისა.

ამიტომაც ეს ცოდვები ღვთის გმობად სახელდება და მათგან განთავისუფლება მხოლოდ ლოცვით, მარხვით და ეკლესიური ცხოვრებით შეიძლება.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოს, რომელშიც გვიწევს ცხოვრება. დღეს ისეთი ყოფა მკვიდრდება, რომელშიც ყველა ეძებს თავისას და არა იმას, რაც სათნოა ქრისტესთვის (ფილ. 2,4). სიცრუე იქცა დადებით მოვლენად, სხვაზე გადაბრალება,–ჩვეულებად, გულგრილობა,–წესად, უზნეობა და თავაშვებულობა,–მისაბაძად; ცილისწამება და ძალადობა, ყოველდღიურ მოვლენად; ანუ ღვთის შიშის გარეშე მცხოვრებთათვის ცოდვითი ყოფა ნორმა ხდება. მათი რიცხვი კი ყველგან იზრდება.

აგრესია განსაკუთრებით დიდია ახალგაზრდებში და მამაკაცების გარკვეულ ნაწილში; განსაკუთრებით მათში, რომელნიც უსაქმოდ და უფუნქციოდ დარჩნენ და ოჯახის მარჩენალისა და მასზე მზრუნველის ფუნქცია დაკარგეს. ეს ტვირთი დაემატა ქალს, რამაც მისი მდგომარეობა, კიდევ უფრო დაამძიმა და ცოლსა და ქმარს შორის ფუნქციური ბალანსი სრულად დაარღვია. ეს კი იწვევს ორივე მხარის დაძაბულობასა და გაღიზიანებას. რაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ ქალების სიცოცხლის ხელყოფით მთავრდება. მდგომარეობის ნაწილობრივი გამოსწორება სამუშაო ადგილების შექმნასა და ანაზღაურების გაუმჯობესებას შეუძლია. თუ ეს განხორციელდა, დიდად შეეწყობა ხელი ოჯახში სხვა სახის ძალადობის აღმოფხვრასაც და ცხოვრების, ასე თუ ისე, ნორმალურ კალაპოტში ჩადგომას.

ვფიქრობთ, ეს სერიოზულ გავლენას იქონიებს თვითმკვლელთა რიცხვის შემცირებაზეც. ადამიანები, განსაკუთრებით ურწმუნონი, თუნდაც, რომ ფიზიკურად ძლიერნი იყვნენ, კრიტიკულ სიტუაციებში უსუსურნი ხდებიან, რადგან მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობიან და რესურსი სიმტკიცისა მალე ეწურებათ.

ავადმყოფობით, უსახსრობით, უბინაობით... ვალებით... გამწარებულებს ჰგონიათ, რომ თავის მოკვლით პრობლემებისგან განთავისუფლდებიან; სინამდვილეში კი ამ ქმედებით ისინი მარადიული ტანჯვისა და სიკვდილის იმ კარს აღებენ, სადაც მათ ვეღარავინ უშველის (გამონაკლისს, სულით ავადმყოფები წარმოადგენენ).

ჩვენთვის ბოძებული მიწიერი ცხოვრებით უფალმა შესაძლებლობა მოგვცა მარადიულ ნეტარებაში დავმკვიდრდეთ. ვინც ამ შემოთავაზებაზე უარს ამბობს, საკუთარი თავის მიმართ განხორციელებული ძალადობის მსხვერპლი ხდება და თავისი ნებით ჯოჯოხეთის სკნელში აღმოჩნდება. ეს იმდენად დიდი დანაშაულია, რომ მათთვის ლოცვაც აკრძალულია.

ღმერთმა ყველა დაიფაროს თვითმკვლელობისგან!

გასულ წელს მსჯელობის საგანი იყო ქალების მიმართ განხორციელებული ძალადობა; თუმცა, მხოლოდ ამ თემით შემოფარგვლა საკმარისი არ არის. სამწუხაროა, რომ არ იმართება დისკუსიები და არ იგმობა თუნდაც იგივე თვითმკვლელობა და სხვა უმძიმესი ცოდვები, არ იგმობა აბორტიც, რომელიც ძალადობის ყველაზე საშინელი და საზარელი სახეა.

დედა, რომელმაც შვილის მკვლელობის ეს დანაშაული ჩაიდინა და ექიმებიც, არ შეიძლება არ გრძნობდნენ სინდისის ქენჯნას; არ შეიძლება არ გრძნობდნენ დაღვრილი უმანკო სისხლის ძახილს. ამ დანაშაულის გამოსყიდვა მხოლოდ გულმხურვალე სინანულითა და ქველი საქმეებით შეიძლება და კიდევ იმით, რომ ეს ადამიანები გახდნენ ერთგვარი მქადაგებელნი და დაარწმუნონ თავისი ახლობლები და ნაცნობები, რომ მათ მაინც მსგავსი რამ არ ჩაიდინონ და ამით სხვა ჩვილების სიცოცხლე გადაარჩინონ.

საერთოდაც, ყველა უნდა ვეცადოთ, სიტყვით მაინც დავეხმაროთ ერთმანეთს, მივცეთ იმედი მარავალი პრობლემით დამძიმებულ ჩვენს შვილებს, დებსა და ძმებს და ხსნის რაიმე გზა შევთავაზოთ.

ამდენი ტანჯვისა და ტკივლის, თავსმოხვეული „„ახალი აზროვნებისა" და ყოველდღიური მოულოდნელობების ფონზე ოჯახები საქართველოში მაინც დგას ზნეობის სადარაჯოზე; ეს სასწაულია, რაც, პირველ რიგში, ქართველი ქალის,–დედის დამსახურებაა. ქალის როლი ყოველთვის განსაკუთრებული იყო და არის ჩვენს ისტორიაში. წმინდა ილია მართალი წერს: „ქართველებისთვის „დედა" მარტო მშობელი არ არის, ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას" ეძახის, უფროს ქალაქს,–„დედა-ქალაქს,"–მკვიდრ და დიდ ბოძს სახლისას,–„დედა-ბოძს," უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს, „დედა-ბურჯს, სამთავრო აზრს, -„დედა-აზრს," გუთნის განმგებელ მამაკაცს კი - „„გუთნის-დედას".

ამდენი ტანჯვისა და ტკივლის, თავსმოხვეული, „ახალი აზროვნებისა" და ყოველდღიური მოულოდნელობების ფონზე ოჯახები საქართველოში მაინც დგას ზნეობის სადარაჯოზე; ეს სასწაულია, რაც, პირველ რიგში, ქართველი ქალის,–დედის დამსახურებაა. ქალის როლი ყოველთვის განსაკუთრებული იყო და არის ჩვენს ისტორიაში.

რამდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა! " ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა მას შემდეგ, რაც საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი გახდა. ღვთის საიდუმლო განგებულებით, კვართი უფლისა საქართველოში ჩამობრძანდა და მცხეთაში დაიფლა. მისი აქ დაკრძალვა არ ნიშნავს მხოლოდ ამ ლოკალური ადგილის მონიშვნას; სასწაულთმომქმედი უკერველი კვართი მაცხოვრისა მთელმა საქართველომ შეიმოსა, ხოლო ყოვლადწმინდა მარიამს, ამავე საიდუმლო განგებულებით, ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული მფარველობა დაევალა.

ჩვენი მეოხია იგი, რომელიც დამხსნელია ადამის წყევისა, აღმასრულებელი ევას თანანადებისა, წმინდა შესაწირია აბელისა, სამკაულია სეითისა, სათნოყოფაა ენუქისა, კიდობანია პირმეტყველი ნოესი, დიდებაა მელქისედეკის მეფობისა და მღვდელობისა, რომელიც სიმტკიცეა აბრაამის სარწმუნოებისა, ზეცად მიწევნული კიბეა იაკობისი, ღვთივწერილი წიგნია მოსესი, კვერთხია იგი განედლებული და აღყვავებული აარონისი, ძლევაი ისუ ნავესი, გზაა მშვენიერი ელიას ამაღლებისა, მრჩობლი კურთხევაა ელისეს ხალენისა, წინასწარმეტყველთა ქადაგებაა და სიტყვათა მათთა აღსრულება.

აი, ამ საოცარი ქალწულის მიერ ჩვენს განსანათლებლად და გადასარჩენად წარმოგზავნილი ანდრია მოციქულის, წმინდა ნინოსა და სხვა წმინდანთა მადლით საქართველომ, ხალხის დიდი მსხვერპლშეწირვისა და ძალისხმევის ფასად, საუკუნეთა მანძილზე გაუძლო ყოველი მხრიდან შემოსეულ მომხდურს; დღეს კი კიდევ უფრო დიდი გამოცდის წინაშე ვდგავართ.

ყველამ, ერმაც და ბერმაც, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო, საკუთარი ოჯახიცა და თავიც, პირველ რიგში, ჩვენი ცხოვრება უნდა გამოვასწოროთ; ჩვენში და ჩვენს შორის დაბუდებული ცოდვა და მისი შედეგი, –სიკვდილი უნდა დავძლიოთ და სიკეთისა და სიცოცხლის გამარჯვება ვიზეიმოთ.

მაცხოვრის შობის ამ ბრწყინვალე დღეს ზეცა ივსება ანგელოზთა საგალობლით: „„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება". ბეთლემელი მწყემსებიც და ქალდეველნი მოგვნიც კვლავ მიიჩქარიან, რათა თაყვანი სცენ ყრმა იესოს და ყოვლადწმინდა ქალწულს.

ჩვენც მოვიყაროთ მუხლნი გულისა ჩვენისანი წინაშე უფლისა და დედაღვთისმშობელს შევთხოვოთ, განგვიღოს მოწყალებისა კარი, რათა მადლით აღავსოს ყოველნი მორჩილებით მისგან წყალობის მომლოდინენი. მაშ, განვიწმინდოთ სული, გონება და გული, ჩვენი ზრახვა და გრძნობები, ვაპატიოთ და შევურიგდეთ ერთმანეთს, რათა ღირს ვიქმნეთ, მივეგებოთ ბეთლემში შობილ მაცხოვარს და ცოდვებისაგან განთავისუფლებულებმა, აღმოვსთქვათ:

ემმანუელ, ჩვენთან არს ღმერთი! ღმერთს ებარებოდეთ. იხარეთ ორსავე სოფელსა შინა.

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
თბილისი, შობა ქრისტესი, 2014-2015 წელი.

ჩვენთვის ბოძებული მიწიერი ცხოვრებით უფალმა შესაძლებლობა მოგვცა მარადიულ ნეტარებაში დავმკვიდრდეთ. ვინც ამ შემოთავაზებაზე უარს ამბობს, საკუთარი თავის მიმართ განხორციელებული ძალადობის მსხვერპლი ხდება და თავისი ნებით ჯოჯოხეთის სკნელში აღმოჩნდება. ეს იმდენად დიდი დანაშაულია, რომ მათთვის ლოცვაც აკრძალულია.

ღმერთმა ყველა დაიფაროს თვითმკვლელობისგან

ჩვენს მუნიციპალიტეტში

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

31 დეკემბერს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, გამგეობისა და ადგილობრივი თვითმართველობის ხელმძღვანელები.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ სხდომაზე განხილულ იქნა „ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 დეკემბრის 21 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი და „ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი, რომლის თანახმადაც, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად ცენტრალური ბიუჯეტიდან ხობის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 43400 ლარის ოდენობით, რისი ასახვაც მოხდა აღნიშნულ პროექტში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ხოგში სალოტბარო სკოლა გაიხსნა

15 იანვარს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელსა და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელს გიორგი დონაძეს შორის ხელი მოეწერა მემორანდუმს თანადაფინანსების საფუძველზე ხობში სალოტბარო სკოლის გახსნის თაობაზე. აღნიშნული პროექტის პრეზენტაციას მიეძღვნა საზეიმო ღონისძიება, რომელიც გაიმართა ხობის კულტურის სახლში. ღონისძიებას ესწრებოდნენ და დამსწრე საზოგადოებას სალოტბარო სკოლის გახსნა მიულოცეს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის პირველმა მოადგილემ კობა ქანთარიამ, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ, გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელმა გიორგი დონაძემ, ფოლკლორის ეროვნული ცენტრის ზეპირსიტყვიერების მიმართულების ხელმძღვანელმა ეთერ თათარაიძემ. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელობამ დიდი მადლობა გადაუხადა ადგილობრივ ხელისუფლებას სალოტბარო სკოლის შექმნაში გაწეული მხარდაჭერისა და თანადგომისათვის, რამაც განაპირობა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში, ფოლკლორის სახელმწიფო ეროვნული ცენტრის მიერ ქვეყნის მაშტაბით პირველი სალოტბარო სკოლის გახსნა ხობის მუნიციპალიტეტში. სალოტბარო სკოლა მიზნად ისახავს 2011 წელს იუნესკოს მიერ არამატერიალური კულტურის ძეგლად აღიარებული უნიკალური ქართული სიმღერის გადარჩენას, შენახვას, პოპულარიზაციას და მომავალი თაობებისათვის გადაცემას. სალოტბარო სკოლაში ფოლკლორის ცენტრის მიერ შემუშავებული პროგრამის საფუძველზე, ახალგაზრდობა უფასოდ შეისწავლის უძველეს მეგრულ სიმღერებს და ქართულ ტრადიციულ გალობას. აქტიურად მოხდება ახალგაზრდობის ჩაბმა ცენტის მიერ მოწყობილ ფესტივალებსა და ღონისძიებებში. განხორციელდება გამორჩეული ნიჭიერი ახალგაზრდების რეალური ხელშეწყობა. სკოლის წარჩინებული მოსწავლეები სურვილის შემთხვევაში ჩააბარებენ თბილისის გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში და მიიღებენ უმაღლეს განათლებას უფასოდ. გარდა ამისა ცენტრი მოახდენს ადგილობრივი სპეციალისტების ხელშეწყობასა და მათ გადამზადებას.

ქალაქ ხობის მაჟორიტარი დეპუტატის საჩუქარი დევნილებს

9 იანვარს ქალაქ ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ლევან ქავთარაძემ ყოფილი სპორტული სკოლა-ინტერნატის შენობაში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილი მოსახლეობა მოინახულა, შობა ახალი-წელი მიულოცა მათ და საჩუქრად საკუთარი სახსრებით შეძენილი სხვადასხვა სახის 700 ლარამდე ღირებულების მედიკამენტი გადასცა. მაჟორიტარმა დეპუტატმა დევნილებს პირობა მისცა, რომ ეს საქველმოქმედო აქცია მრავალჯერად ხასიათს მიიღებს.

საახალწლო საჩუქრები სათნოების სახლის ბენეფიციარებს

30 დეკემბერს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ, გამგებლის მოადგილე ვარაზ გაბედავამ, საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა სიჭინავამ, საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ტარიელ ალექსანდრიამ დამდეგი ახალი წელი მიულოცეს სათნოების სახლის ბენეფიციარებს, უსურვეს მათ კეთილდღეობა, ჯანმრთელობა, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ხელისუფლების მხრიდან მუდმივ ყურადღებასა და მზრუნველობას დაპირდნენ მათ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა სათნოების სახლის 120 ბენეფიციარს საახალწლო საჩუქრები გადასცეს.

ხოლო შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ დირექციამ ბენეფიციარებისთვის საახალწლო საჩუქრად სათნოების სახლის სამზარეულოს გადასცა 699 ლარის ღირებულების საკვები პროდუქტების მარაგი.

მზრუნველობისა და დახმარების პროგრამა მრძელდება

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ, გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დოდო გაბუნიამ, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ლევან ქავთარაძემ და სოციალური მომსახურეობის სააგენტოს ხობის რაიონული განყოფილების უფროსმა ბადრი ჭითაშვილმა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის 291 დადგენილების შესაბამისად სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვებზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს გადაუდებელი პირველადი დახმარების სახით შუა ხორგაში მცხოვრებ სვეტლანა დუდკოს, ჭალადიდში მცხოვრებ მთვარისა გიგაშვილსა და ქ. ხობში მცხოვრებ ნონა მირცხულავას ოჯახებს გადასცეს სოლიდური პაკეტი: გაზქურა, საკვები პროდუქტების მარაგი, სასკოლო ინვენტარი და საწოლი.

ასევე, საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ტრადიციული საქველმოქმედო საახალწლო პაკეტი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენლებმა გადასცეს მრავალშვილიან დედებს, სოციალურად დაუცველ ოჯახებს, ვეტერანებს, 100 წელს გადაცილებულ მოხუცებს და მიულოცეს დამდეგი შობა-ახალი წელი.

ერთი ლამაზი დღე სოციალურად დაუცველ ოჯახებში

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის 291 დადგენილების შესაბამისად, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვებზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვიან ოჯახებს პირველადი დახმარება გაუწიეს და ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სხვადასხვა სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს საქართველოს პარლამენტში ხობის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ტრადიციული საახალწლო საჩუქრები, სოციალური მომსახურების ხობის რაიონული განყოფილების წარმომადგენლებმა, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ, დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა რევაზ წულაიამ, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებმა და საკრებულოს წევრებმა გადასცეს.

„საახალწლო პაკეტი“ პირველადი სასურსათო მოხმარების პროდუქტებს, საყოფაცხოვრებო ნივთებს და ტკბილეულს მოიცავდა. ამ ქველმოქმედებით მრავალშვილიან დედებს, სოციალურად დაუცველ ოჯახებს, ომისა და შრომის ვეტერანებს და 100 წელს გადაცილებულ მოხუცებს კიდევ ერთხელ მოეფერნენ და მიულოცეს დამდეგი შობა-ახალი წელი.

შეხვედრა სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის თანამშრომლებთან

12 იანვარს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, გამგებლის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა და გამგეობის სხვა თანამდებობის პირები გამგეობის ყოფილი სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის თანამშრომლებს შეხვდნენ. სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური 2015 წლის 10 იანვრიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა და სსიპ-საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შემადგენლობაში, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს ქ. ხობის სახანძრო-სამაშველო განყოფილების სტატუსით იფუნქციონირებს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ყოფილ სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის თითოეულ თანამშრომელს მადლობა გადაუხადეს გაწეული მუშაობისათვის და შემდგომი წარმატებები უსურვეს.

სპექტაკლი „ოქროს წიწილა“

ქ. ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის ბავშვთა სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „ოქროს წიწილა“ აჩვენეს. საახალწლო პროგრამის ფარგლებში ხობელ პატარებს ადგილობრივმა ხელისუფლებამ კიდევ ერთი ლამაზი დღე აჩუქა. სპექტაკლის დასაწყისში სპექტაკლის პერსონაჟებმა მხიარულ შეჯიბრში აქტიურად ჩართეს პატარა მაყურებლები, მათი მშობლები და ისინი საახალწლო სიმღერებსა და ლექსებში შეაჯიბრეს. სპექტაკლის დასასრულს თოვლის ბაბუამ და სხვა პერსონაჟებმა პატარებს დამდეგი შობა ახალი წელი მიულოცეს და საახალწლო სიურპრიზი მოუწყვეს. სპექტაკლს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

WWW.khobi.ge

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №46

2014 წლის 30 დეკემბერი ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის” 78-ე მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი თანახმად დანართისა.

მუხლი 2.

ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 დეკემბრის 21 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 იანვრიდან.

ელიშერ ჯობავა,
საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი

თავი I
ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტიური	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	**9,097.9**	**8,535.7**	**2,888.2**	**5,647.5**	**6,220.6**	**0.0**	**6,220.6**
გადასახადები	4,280.2	5,000.0	0.0	5,000.0	4,000.0	0.0	4,000.0
გრანტები	4,245.6	3,108.2	2,888.2	220.0	1,771.8	0.0	1,771.8
სხვა შემოსავლები	572.1	427.5	0.0	427.5	448.8	0.0	448.8
ხარჯები	**7,235.5**	**6,578.5**	**780.0**	**5,798.5**	**6,271.2**	**0.0**	**6,271.2**
შრომის ანაზღაურება	1,904.9	1,766.6	0.0	1,766.6	1,435.2	0.0	1,435.2
საქონელი და მომსახურება	2,304.7	1,801.5	777.2	1,024.3	938.0	0.0	938.0
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	108.0	97.0	0.0	97.0	84.5	0.0	84.5
სუბსიდიები	2,721.7	2,709.5	0.0	2,709.5	3,132.2	0.0	3,132.2
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	423.0	0.0	423.0
სოციალური უზრუნველყოფა	196.2	201.1	0.0	201.1	258.3	0.0	258.3
სხვა ხარჯები	0.0	2.8	2.8	0.0	0.0	0.0	0.0
საოპერაციო სალდო	**1,862.4**	**1,957.2**	**2,108.2**	**-151.0**	**-50.6**	**0.0**	**-50.6**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**2,658.1**	**1,800.0**	**1,886.6**	**-86.6**	**-176.1**	**0.0**	**-176.1**
ზრდა	2,691.2	1,960.7	1,886.6	74.1	27.5	0.0	27.5
კლება	33.1	160.7	0.0	160.7	203.6	0.0	203.6
მთლიანი სალდო	**-795.7**	**157.2**	**221.6**	**-64.4**	**125.5**	**0.0**	**125.5**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-893.5**	**42.7**	**221.6**	**-178.9**	**-9.7**	**-9.7**	**0.0**
ზრდა	**0.0**	**221.6**	**221.6**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	221.6	221.6		0.0		0.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	**893.5**	**178.9**	**0.0**	**178.9**	**9.7**	**9.7**	**0.0**
ვალუტა და დეპოზიტები	893.5	178.9		178.9	9.7	9.7	
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	**893.5**	**178.9**	**0.0**	**178.9**	**9.7**	**9.7**	**0.0**
ვალუტა და დეპოზიტები	893.5	178.9		178.9	9.7	9.7	
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	**893.5**	**178.9**	**0.0**	**178.9**	**9.7**	**9.7**	**0.0**
ვალუტა და დეპოზიტები	893.5	178.9		178.9	9.7	9.7	
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	97.8	114.5	0.0	114.5	135.2	9.7	125.5
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	97.8	114.5	0.0	114.5	135.2	9.7	125.5
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	კოდი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა			2014 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები		**9131.0**	**8696.4**	**2888.2**	**5808.2**	**6424.2**	**0.0**	**6424.2**
შემოსავლები	1	9097.9	8535.7	2888.2	5647.5	6220.6		6220.6
არაფინანსური აქტივების კლება	31	33.1	160.7	0.0	160.7	203.6	0.0	203.6
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გაკლებით)	32	0.0	0.0			0.0	0.0	0.0
გადასახდელები		**10024-.5**	**8653.7**	**2666.6**	**5987.1**	**6433.9**	**9.7**	**6424.2**
ხარჯები	00	7235.5	6578.5	780.0	5798.5	6271.2	0.0	6271.2
არაფინანსური აქტივების ზრდა		2691.2	1960.7	1886.6	74.1	27.5	0.0	27.5
ვალდებულებების კლება		**97.8**	**114.5**	**0.0**	**114.5**	**135.2**	**9.7**	**125.5**
ნაშთის ცვლილება		-893.50-0	42.700	221.600	-178.900	-9.700	-9.700	0.000

მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 6220.6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტიური	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	**9,097.9**	**8,535.7**	**2,888.2**	**5,647.5**	**6,220.6**	**0.0**	**6,220.6**
გადასახადები	4,280.2	5,000.0	0.0	5,000.0	4,000.0	0.0	4,000.0
გრანტები	4,245.6	3,108.2	2,888.2	220.0	1,771.8		1,771.8
სხვა შემოსავლები	572.1	427.5		427.5	448.8		448.8

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 4000.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	კოდი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა			2014 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	**11**	**4,280.-2**	**5,000.0**	**0.0**	**5,000.0**	**4,000.0**	**0.0**	**4,000.0**
საშემოსავლო გადასახადი								
ქონების გადასახადი	113	4,280.2	5,000.0	0.0	5,000.0	4,000.0	0.0	4,000.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	963.8	3,198.0		3,198.0	2,168.0		2,168.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	**113112**	**0.0**	**0.0**			**0.0**		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	2.0	2.0	0.0	2.0	2.0	0.0	2.0
ეკოხიმიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1131131	0.4	2.0		2.0	2.0		2.0
არაეკოხიმიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	1131132	1.6	0.0			0.0		
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	**113114**	**220.7**	**220.0**	**0.0**	**220.0**	**220.0**	**0.0**	**220.0**
ფიზიკურ პირებიდან	1131141	83.9	100.0		100.0	90.0		90.0
იურიდიულ პირებიდან	1131142	136.8	120.0		120.0	130.0		130.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	3,093.7	1,580.0	0.0	1,580.0	1,610.0	0.0	1,610.0
ფიზიკურ პირებიდან	1131151	398.9	10.0		10.0	10.0		10.0
იურიდიულ პირებიდან	1131152	2,694.8	1,570.0		1,570.0	1,600.0		1,600.0
სხვა გადასახადები ქონებაზე	1136	0.0	0.0			0.0		
სხვა გადასახადები	116	0.0	0.0			0.0		

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 1771.8 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	კოდი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა			2014 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	**13**	**4,245.-6**	**3,108.2**	**2,888.2**	**220.0**	**1,771.8**	**0.0**	**1,771.8**
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	131	0.0	0.0			0.0		
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	160.5	0.0			0.0		
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	4,085.1	3,108.2	2,888.2	220.0	1,771.8	0.0	1,771.8
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	**1311**	**205.0**	**220.0**	**0.0**	**220.0**	**1,771.8**	**0.0**	**1,771.8**
გათანაბრებითი ტრანსფერი		0.0	0.0			1,551.8		1,551.8
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		205.0	220.0		220.0	220.0		220.0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად		0.0	0.0			0.0		
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	**1312**	**3,880.1**	**2,888.2**	**2,888.2**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი		2,999.9	2,043.6	2,043.6		0.0		
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		880.2	844.6	844.6		0.0		
პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი		0.0	0.0			0.0		
მთავრობის სარეზერვო ფონდი		0.0	0.0			0.0		
ხტიქოის შედეგების ლიკვიდაციო ფონდი		0.0	0.0			0.0		

5

4

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 448.8 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	კოდი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა			2014 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის შონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის შონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	**14**	**572.1**	**427.5**	**0.0**	**427.5**	**448.8**	**0.0**	**448.8**
შემოსავლები საკუთრებიდან	**141**	**141.5**	**132.0**	**0.0**	**132.0**	**115.0**	**0.0**	**115.0**
პროცენტები	**1411**	**24.2**	**19.2**		**19.2**	**0.0**		
დივიდენდები	**1412**	**0.0**	**0.0**			**0.0**		
რენტა	**1415**	**117.3**	**112.8**	**0.0**	**112.8**	**115.0**	**0.0**	**115.0**
შოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	117.3	112.8		112.8	115.0		115.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უხურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	0.0	0.0			0.0		
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	14159	0.0	0.0			0.0		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**142**	**188.1**	**85.5**	**0.0**	**85.5**	**123.8**	**0.0**	**123.8**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	53.8	43.9	0.0	43.9	43.8	0.0	43.8
საერთო-სახელმწიფოებრივი ხალიცენზიო მოსაკრებელი	14222	0.0	0.0			0.0		
სანებართვო მოსაკრებელი	14223	12.6	6.1		6.1	6.0		6.0
სახელმწიფო ბაჟი	14227	0.0	0.0			0.0		
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	14229	0.1	0.0			0.0		0.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	142212	0.4	0.0			0.0		0.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	142213	0.0	0.0			0.0		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	40.7	37.8		37.8	37.8		37.8
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	142299	0.0	0.0			0.0		
არასაბანკო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	134.3	41.6	0.0	41.6	80.0	0.0	80.0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	14231	0.0	0.0			0.0		
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	134.3	41.6		41.6	80.0		80.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	238.2	210.0		210.0	210.0		210.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	144	0.0	0.0			0.0		
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	4.3	0.0			0.0		

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6271,2 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	კოდი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა			2014 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის შონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის შონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები		**7,235.5**	**6,578.5**	**780.0**	**5,798.5**	**6,271.2**	**0.0**	**6,271.2**
შრომის ანაზღაურება		1,904.9	1,766.6	0.0	1,766.6	1,435.2	0.0	1,435.2
საქონელი და მომსახურება		2,304.7	1,801.5	777.2	1,024.3	938.0	0.0	938.0
ძირითადი კაპიტალის მომსახურება		0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი		108.0	97.0	0.0	97.0	84.5	0.0	84.5
სუბსიდიები		2,721.7	2,709.5	0.0	2,709.5	3,132.2	0.0	3,132.2
გრანტები		0.0	0.0	0.0	0.0	423.0	0.0	423.0
სოციალური უზრუნველყოფა		196.2	201.1	0.0	201.1	258.3	0.0	258.3
სხვა ხარჯები		0.0	2.8	2.8	0.0	0.0	0.0	0.0
არაფინანსური აქტივების ზრდა		**2,691.2**	**1,960.7**	**1,886.6**	**74.1**	**27.5**	**0.0**	**27.5**
ძირითადი აქტივები		2,691.2	1,960.7	1,886.6	74.1	27.5	0.0	27.5
მატერიალური მარაგები		0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფასეულობები		0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები		0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების ზრდა		0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო		0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო		0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
შინეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება		0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება		97.8	114.5	0.0	114.5	135.2	9.7	125.5
საშინაო		97.8	114.5	0.0	114.5	135.2	9.7	125.5
საგარეო		0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 27,5 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების ზრდა	**2,691.2**	**1,960.7**	**27,5**

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 203,6 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	33.1	160.7	203.6
ძირითადი აქტივები	9.4	10.7	0.0
მატერიალური მარაგები	2.4	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	21.3	150.0	203.6
მიწა	21.3	150.0	203.6

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალურ ჭრილში თანდართული ფორმით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის შონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის შონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	**საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება**	**2,305.2**	**2,761.0**	**475.6**	**2,285.4**	**2,230.0**	**0.0**	**2,230.0**
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,197.2	2,188.4	0.0	2,188.4	2,145.5	0.0	2,145.5
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,154.6	2,097.4	0.0	2,097.4	2,055.5	0.0	2,055.5
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	42.6	91.0	0.0	91.0	90.0	0.0	90.0
70113	საგარეო ურთიერთობები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7012	საგარეო ეკონომიკური დაბმა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	108.0	572.6	475.6	97.0	84.5	0.0	84.5
702	**თავდაცვა**	**95.2**	**108.1**	**0.0**	**108.1**	**114.5**	**0.0**	**114.5**
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	617.2	410.7	0.0	410.7	411.0	0.0	411.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	617.2	410.7	0.0	410.7	411.0	0.0	411.0
704	**ეკონომიკური საქმიანობა**	**1,907.7**	**1,759.0**	**1,719.1**	**39.9**	**70.0**	**0.0**	**70.0**
7042	სოფლის მეურნეობა, საძოვრ მეურნეობა, მეთევზეობა და მოსაგლიანობა	1.7	7.6	2.8	4.8	40.0	0.0	40.0
70421	სოფლის მეურნეობა	1.7	7.6	2.8	4.8	40.0	0.0	40.0
7045	ტრანსპორტი	1,101.1	906.8	871.7	35.1	30.0	0.0	30.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,101.1	906.8	871.7	35.1	30.0	0.0	30.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	804.9	844.6	844.6	0.0	0.0	0.0	0.0
705	**გარემოს დაცვა**	**1,733.5**	**337.1**	**0.0**	**337.1**	**313.0**	**0.0**	**313.0**
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	504.0	337.1	0.0	337.1	313.0	0.0	313.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	1,229.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	794.2	678.9	471.9	207.0	237.0	0.0	237.0
7063	წყალმომარაგება	23.5	10.0	0.0	10.0	15.0	0.0	15.0
7064	გარე განათება	0.0	174.0	0.0	174.0	222.0	0.0	222.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	770.7	494.9	471.9	23.0	0.0	0.0	0.0
707	**ჯანმრთელობის დაცვა**	**99.4**	**123.5**	**0.0**	**123.5**	**123.9**	**0.0**	**123.9**
7072	ამბულატორიული მომსახურება	15.9	14.6	0.0	14.6	23.4	0.0	23.4
7072-4	საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება	15.9	14.6	0.0	14.6	23.4	0.0	23.4
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	83.5	108.9	0.0	108.9	100.5	0.0	100.5
708	**დასვენება, კულტურა და რელიგია**	**941.8**	**865.3**	**0.0**	**865.3**	**995.8**	**0.0**	**995.8**
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	429.3	428.5	0.0	428.5	480.1	0.0	480.1
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	459.9	383.2	0.0	383.2	455.4	0.0	455.4
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	42.2	35.8	0.0	35.8	44.0	0.0	44.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	10.4	17.8	0.0	17.8	16.3	0.0	16.3
709	**განათლება**	**1,159.1**	**1,210.9**	**0.0**	**1,210.9**	**1,490.7**	**0.0**	**1,490.7**
7091	სკოლამდელი აღზრდა	799.0	863.3	0.0	863.3	1,062.7	0.0	1,062.7
7093	პროფესიული განათლება	87.1	80.7	0.0	80.7	110.7	0.0	110.7
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	273.0	266.9	0.0	266.9	317.3	0.0	317.3
710	**სოციალური დაცვა**	**273.4**	**284.7**	**0.0**	**284.7**	**312.8**	**0.0**	**312.8**
7101	ავადმყოფობა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	64.6	45.6	0.0	45.6	55.6	0.0	55.6
71011	ავადმყოფობა სოციალური დაცვა	64.6	45.6	0.0	45.6	55.6	0.0	55.6
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	90.5	113.8	0.0	113.8	117.7	0.0	117.7
7105	უმუშევართა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	78.8	83.6	0.0	83.6	94.5	0.0	94.5
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	39.5	41.7	0.0	41.7	45.0	0.0	45.0
	სულ	**9,926.7**	**8,539.2**	**2,666.6**	**5,872.6**	**6,298.7**	**0.0**	**6,298.7**

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 125.5 ათასი ლარით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 -ით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 9.7 -ით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა 0-ით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 135.2 ათასი ლარით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის

6

5

სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 90.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 220.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯამართელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 100.5 ათასი ლარი;

ბ),,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 114,5 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5,0 ათასი ლარი;

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქრთველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საგანგებო სიტუაციების (ხანძარი, წყალდიდობა, მეწყერი, ავტოსატრანსპორტო შემთხვევები და სხვა ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის სტიქიური უბედურებები) სალიკვიდაციოდ პრევენციის მიზნით აუცილებელია სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. ხანძრის ჩაქრობისა და სამაშველო ღონისძიებების მაღალპროფესიული უზრუნველყოფისათვის პირადი შემადგელობის ტექნიკური და პროფესიული მომზადების სრულყოფა. თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

ა) საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის მიზანია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ქმედითუნარიანობის ამაღლება, სამაშველო–საავარიო ტექნიკით უზრუნველყოფა, ხანძრების დროს მატერიალურ ფასეულობათა გადარჩენის პროცენტული მაჩვენებლების ზრდა, ხანძრის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, პირადი შემადგენლობის კანონით გათვალისწინებული სოციალური და სამართლებრივი უფლების დაცვა.

ბ) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამით ხორციელდება მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, წვევამდელთა ჯამრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, ასფალტის საფარიანი გზების მოვლა–შენახვა, ტროტუარების რეაბილიტაცია, ქალაქის სკვერებისა და პარკების, ქუჩებისა და მოედნების დასუფთავების ღონისძიებები, გარე განათების მოვლა-შენახვა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (გზები და ხიდები) (პროგრამული კოდი 03 01)

ა.ა) გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია. პერსპექტივაში ამ მიმართულებით გაგრძელდება ასიგნებების გამოყოფა.

ა.ბ) ხიდების, ხიდბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 02)

ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ხიდბოგირების მგდომარეობის ექსპლოატაცია-რეაბილიტაცია. სათანადო რესურსების შემთხვევაში ამ კუთხით ასიგნებები კვლავ გამოიყოფა.

ბ) კომუნალური ინფრასრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

ბ.ა) გარე განათება (პროგრამული კოდი 03 02 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ უზრუნველყოფს გარე განათების მოვლა-შენახვის ღონისძიებების განხორციელებას;

ბ.ბ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

მომავალ წლებში გათვალისწინებულ იქნება სოფლების წყალმომარაგების პრობლემების მნიშვნელოვანწილად გადაჭრა.

ბ.გ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 03)

პერსპექტივაში კვლავ გრძელდება საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია.

ბ.დ) სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

რეგიონის ჭარბნალექიანობიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის საკითხებს.

ბ.ე) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 05)

შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ უზრუნველყოფს ქალაქის სკვერებისა და პარკების მოვლა-შენახვისა და დასუფთავების ღონისძიებების განხორციელებას, გააჩნია შესაბამისი ტექნიკა, 2015 წლისათვის გამოყოფილია სულ 313.0 ათასი ლარის ასიგნება.

გ) სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04)

მუნიციპალიტეტისათვის ამ მეტად პრობლემური საკითხის გადაწყვეტაში საჭირო იქნება ცენტრალური ბიუჯეტიდან სათანადო სახსრების გამოყოფა.

დ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 05)

პროექტი ხორციელდება სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მიმართულებებზე, გამოკვეთილია გზები, სანიაღვრე არხები და წყალმომარაგების სისტემები.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ მეშვეობით მუნიციპალიტეტი ახორციელებს სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზებას მომავალ თაობასთან, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრი“-ს მეშვეობით ხორციელდება ახალგაზრდობის პროფორიენტაციის პროგრამა. დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი არის სკოლამდელი განათლება, რაც თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ა)სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“, რომელიც აერთიანებს 30 საბავშვო ბაღს, სადაც განათლებას იღებს 1092-მდე ბავშვი. ხორციელდება ღონისძიებები საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსებაზე, მათ რეაბილიტაციაზე და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებაზე.

ბ) მოსწავლე-ახალგაზ-

7

6

რდობის კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 03)

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრით“ მეშვეობით მუნიციპალიტეტი ახორციელებს სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზებას მომავალ თაობასთან, ხორციელდება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესების და მასობრივი მუშაობის საინფორმაციო მეთოდური უზრუნველყოფა, სხვადასხვა სახის სასწავლო, შემეცნებითი, სახელოვნებო კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, ტურების, ფესტივალების მოწყობა და ნიჭიერ მოზარდთა გამოვლენა. ინტელექტუალური, სახელოვნებო, სასპორტო და სხვა მიმართულებებით ჩამოყალიბებული სექციებისა და ჯგუფების მუშაობის უზრუნველყოფა.

გ) პროფესიული სწავლება (პროგრამული კოდი 04 04)

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრი“-ს მეშვეობით ხორციელდება ახალგაზრდობის პროფორიენტაციის პროგრამა.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტი ამ პროგრამის მეშვეობით ახდენს სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, ახორციელებს კულტურულ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებს, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობ და სანახაობრივ ღონისძიებებს. ხელს უწყობს საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, წარმატებული სპოტსმენების წახალისებას, ნიჭიერ ბავშვებს და ახალგაზრდებს მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენაში. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების დაფინანსება. იზრდება ჩატარებილი კულტურული ღონისძიებების რაოდენობა და ახალგაზრდობის ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ისტორიული ძეგლების მონიტორინგი, საჭირო შემთხვევაში არქეოლოგიური კუთხით სადაზვერვო სამუშაოების წარმოებისათვის.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

ა.ა)სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის მასშტაბით სპორტის სხვადასხვა სახეობებში ტურნირების ჩატარება, სპორტში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა, სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და განვითარების ხელშეწყობა.

ა.ბ) ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ,,კოლხეთის“ ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 02)

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“–ს უბსიდირება, უზრუნველყოფს სპორტის უმნიშვნელოვანესი სახეობის ფეხბურთის პოპულარიზაციას და გუნდის მომზადებას საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობისათვის.

ა.გ)სტადიონების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქსა და სოფლებში არსებული მარტივი ტიპის მოედნების ექპლოატაცია და რეაბილიტაცია.

ა.დ) ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფეხბურთის განვითარების ხელსეწყობის მიზნით ფუნქციონირებს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“, სადაც 11 ასაკობრივ ჯგუფებში გაერთიანებულია 216 ბავშვი, სკოლის გუნდები მონაწილეობას იღებენ სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის რეგიონების ტურნირებში.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურულინ ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ბ.ა) კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“, რომელიც აერთიანებს 13 ბიბლიოთეკას, 3 მუზეუმს, 7 სასოფლო კლუბსა და 3 კულტურის სახლს. ცენტრი ხელს უწყობს ქართული ფოლკლორის განვითარებას, ატარებს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებში და ხალხური შემოქმედების ნაწარმოებების გამოფენას.

ბ.ბ)ძეგლთა დაცვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ისტორიული ძეგლების მონიტორინგი, საჭირო შემთხვევაში არქეოლოგიური კუთხით სადაზვერვო სამუშაოების წარმოებისათვის, წარმოებს გამოფენების ორგანიზება.

ბ.გ) კულტურული მემკვიდრეობის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ტარდება ხობის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობით ადგილობრივი ფოლკლორის, ხალხური ტრადიციების გამოვლენისა და პოპულარიზაციის მიზნით კონკურსები, გათვალისწინებულია მოეწყოს მეგრული ფოლკლორისა და რეწვის საღამო. სსიპ „ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს“ გამოეყო გრანტი–12,0 ათასი ლარი, რითაც იქმნება სალოტბარო სკოლა, ხელი შეეწყობა ქართული სიმღერებისა და საგალობლების შესწავლას და შენარჩუნებას.

ბ.დ) ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი სუბსიდირებას უწევს შპს „ხობის მოამბე“–ს, რითაც ხელი ეწყობა მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას მუნიციპალიტეტსა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

გ)ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, მხარეთმცოდნეობის კუთხით ლაშქრობების მოწყობა, ახალგაზრდული დღეების გამართვა, ექსკურსიების მოწყობა, ახალგაზრდობისათვის სხვადასხვა თემატურ საკითხებზე შეხვედრების მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

დ) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხობის ხარების დედათა მონასტრის ფინანსური მხარდაჭერა.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის ხელსეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში ახორციელებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადსხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას, ერთიანი სახერლმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯამრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.

ა)საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები (პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება; ეპიდსაწიინაღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა; დაავადებების პირველადი ღონისძიებები; ლაბორატორიული სინჯის აღება.)

იმუნიპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელება, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა (იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება, ანალიზი, შეფასება, დაზუსტება და ანგარიშგებადადგენილი წესის მიხედვით. ვაქცინაცინათა, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიტოების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა (ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის 1 თვის მარაგის შექმნა მუნიციპალიტეტში; (ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის პჯდ დაწესებულებებისათვის დადგენილი წესის მიხედვით; „ცივი ჯაჭვის“ ფუნქციონირების უზრუნველყოფა;)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა (წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესის მიხედ-

8

ვით და გადამტანების არსებობის დაგენა სეზონის განმავლობაში).

პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები (წყალსატევებში გამბუზიის გავრცელება ყოველწლიურად და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის გადამტანების წინააღმდეგ ბრძოლა).

პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა (მალარიის სკრინინგული კვლევა კერებში და კერის გარშემო; სხვა პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა).

დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა (მალარიის დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა; სხვა პარაზიტული დაავადებების დიგნოსტიკა, რეკომენდაციების მიწოდება).

სანიტარული ღონისძიებები (საგანმანათლებლო, სააღმზრდელო საგანმანათლებლო-საარმზრდელო დაწესებულებებსი სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა).

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02)

მუნიციპალიტეტი ახდენს იმ მცირერიცხოვანი სულადობის მქონე სოფლების ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას, რომლებიც დარჩნენ სახელმწიფო პროგრამის გარეშე. ამ მიზნით 2015 წელს გამოიყოფა ყოველწლიურად 23.4 ათასი ლარი.

გ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 03)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სტიქიით დაზარალებულთა დახმარებასა და სხვა სოციალურ ღონისძიებებს.

გ.ა) ავადმყოფთა სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალურად შეჭირვებული ადამიანებისათვის ფაქტიური საოპერაციო ხარჯების 50%-ის დაფარვა, არამუმეტეს 2000 ლარისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად, ასევე სატრანსპორტო ხარჯების დასაფარავად დახმარება ეძლევა დიალეზით დაავადებულებს, ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით.

გ.ბ) სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები) (პროგრამული კოდი 06 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ომის ვეტერანთა და დევნილთა დაღუპვის შემთხვევაში სარიტუალო მომსახურებისათვის დახმარების გაწევა.

გ.გ) ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები (9 მაისის ერთჯერადი დახმარება) (პროგრამული კოდი 06 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დახმარება მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე, ასევე ჩერნობილის ტრაგედიის დროს დაზარალებულთა დახმარება. ამ მიზნით გამოყოფილია 4,0 ათასი ლარის ასიგნება.

გ.დ) მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი), დედ-მამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი (პროგრამული კოდი 06 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება ეწევა 4 და მეტი შვილზე 85 ოჯახს, 100 წელზე უხნესს 7 პიროვნებას, მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად.

გ.ე) უმწეოთა სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება (პროგრამული კოდი 06 03 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ სუბსიდიის მოცულობა შეადგენს 94,8 ათას ლარს. სასადილო ემსახურება 120 ბენეფიციარს, ხოლო ბინაზე მომსახურება ეწევა 25-მდე მარტოხელას.

გ.ვ) ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი (პროგრამული კოდი 06 03 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილია სულ 49.0 ათასი ლარი, ერთ ბავშვის შეძენისას გაიცემა ერთჯერადი დახმარება 100 ლარი, ხოლო მესამე და ზევით 300 ლარი.

გ.ზ) უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება (პროგრამული კოდი 06 03 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში 0-57000 სარეიტინგო ქულის მქონეთ ეწევა დახმარება, რაც მოიცავს 130-მდე ოჯახს, რომელთა სულადობა 600-მდეა, გამოყოფილია 2015 წელს 6.0 ათასი ლარი.

დ) უმწეოთა ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება ეწევა სოციალურად შეჭირვებულ ადამიანებს ერთჯერადად 50-200 ლარის ფარგლებში, 2015 წელს გამოყოფილია 55.0 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად.

ე) ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება გაიცემა ერთჯერადად, სტიქიური მოვლენებითა და ხანძრით დაზარებული მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის, გასაცემი თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 3000 ლარს და გაიცემა ერთჯერადად, მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად.

ვ) მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება, უკიდურესად ავარიული სახლების შესაკეთებლად, გაიცემა ერთჯერადად 500-დან 3000 ლარამდე საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად.

თავი III

ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 17. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ხობის მუნიციპალიტეტი	**10,024.5**	**8,653.7**	**2,666.6**	**5,987.1**	**6,433.9**	**9.7**	**6,424.2**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	218.0	225.0	0.0	225.0	163.0	0.0	163.0
	ხარჯები	7,235.5	6,578.5	780.0	5,798.5	6,271.2	0.0	6,271.2
	შრომის ანაზღაურება	1,904.9	1,766.6	0.0	1,766.6	1,435.2	0.0	1,435.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,691.2	1,960.7	1,886.6	74.1	27.5	0.0	27.5
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	97.8	114.5	0.0	114.5	135.2	9.7	125.5
01 00	**წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება**	**2,403.0**	**2,875.5**	**475.6**	**2,399.9**	**2,365.2**	**9.7**	**2,355.5**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	159.0	164.0	0.0	164.0	155.0	0.0	155.0
	ხარჯები	2,130.9	2,473.6	222.5	2,251.1	2,203.2	0.0	2,203.2
	შრომის ანაზღაურება	1,520.2	1,387.3	0.0	1,387.3	1,361.1	0.0	1,361.1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	174.3	287.4	253.1	34.3	26.8	0.0	26.8
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	97.8	114.5	0.0	114.5	135.2	9.7	125.5
01 01	**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**	**452.1**	**484.6**	**0.0**	**484.6**	**538.2**	**0.0**	**538.2**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	26.0	27.0		27.0	27.0		27.0
	ხარჯები	445.7	483.1	0.0	483.1	532.4	0.0	532.4
	შრომის ანაზღაურება	335.8	335.9	0.0	335.9	338.4	0.0	338.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6.4	1.5	0.0	1.5	5.8	0.0	5.8
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 02	ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა	1,702.5	1,612.8	0.0	1,612.8	1,517.3	0.0	1,517.3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	133.0	137.0		137.0	128.0		128.0
	ხარჯები	1,534.6	1,580.0	0.0	1,580.0	1,496.3	0.0	1,496.3
	შრომის ანაზღაურება	1,184.4	1,051.4	0.0	1,051.4	1,022.7	0.0	1,022.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	167.9	32.8	0.0	32.8	21.0	0.0	21.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 03	**სარეზერვო ფონდი**	**42.6**	**90.0**	**0.0**	**90.0**	**90.0**	**0.0**	**90.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	42.6	90.0	0.0	90.0	90.0	0.0	90.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 04	**ხაბანაო მომსახურების ხარჯი**	**0.0**	**1.0**	**0.0**	**1.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	0.0	1.0	0.0	1.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 05	**წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდი**	**205.8**	**687.1**	**475.6**	**211.5**	**219.7**	**9.7**	**210.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	108.0	319.5	222.5	97.0	84.5	0.0	84.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	253.1	253.1	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	97.8	114.5	0.0	114.5	135.2	9.7	125.5

დოკუმენტი

8

01 06	**მაკორიტარი დეპუტატის მომსახურების ხარჯი**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 00	**თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**	**712.4**	**518.8**	**0.0**	**518.8**	**525.5**	**0.0**	**525.5**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	59.0	61.0	0.0	61.0	8.0	0.0	8.0
	ხარჯები	496.5	514.6	0.0	514.6	524.8	0.0	524.8
	შრომის ანაზღაურება	384.7	379.3	0.0	379.3	74.1	0.0	74.1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	215.9	4.2	0.0	4.2	0.7	0.0	0.7
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 01	**საგანგებო სიტუაციების მართვა**	**617.2**	**410.7**	**0.0**	**410.7**	**411.0**	**0.0**	**411.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	51.0	53.0		53.0	0.0		
	ხარჯები	402.7	408.6	0.0	408.6	411.0	0.0	411.0
	შრომის ანაზღაურება	326.1	321.8	0.0	321.8	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	214.5	2.1	0.0	2.1	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 02	**საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 03	**ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა**	**95.2**	**108.1**	**0.0**	**108.1**	**114.5**	**0.0**	**114.5**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	8.0	8.0		8.0	8.0		8.0
	ხარჯები	93.8	106.0	0.0	106.0	113.8	0.0	113.8
	შრომის ანაზღაურება	58.6	57.5	0.0	57.5	74.1	0.0	74.1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.4	2.1	0.0	2.1	0.7	0.0	0.7
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 00	**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	**4,433.7**	**2,767.4**	**2,188.2**	**579.2**	**580.0**	**0.0**	**580.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	2,132.7	1,098.3	554.7	543.6	580.0	0.0	580.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,301.0	1,669.1	1,633.5	35.6	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 01	**საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები)**	**1,101.1**	**906.8**	**871.7**	**35.1**	**30.0**	**0.0**	**30.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	589.5	22.5	0.0	22.5	30.0	0.0	30.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	511.6	884.3	871.7	12.6	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 01 01	**გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**	**816.9**	**906.8**	**871.7**	**35.1**	**30.0**	**0.0**	**30.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	400.1	22.5	0.0	22.5	30.0	0.0	30.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	416.8	884.3	871.7	12.6	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 01 02	**ხიდების,ხიდბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**	**284.2**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	189.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	94.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 02	**კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა--რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	**2,527.7**	**1,016.0**	**471.9**	**544.1**	**550.0**	**0.0**	**550.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	1,141.6	521.1	0.0	521.1	550.0	0.0	550.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,386.1	494.9	471.9	23.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 02 01	**გარე განათება**	**0.0**	**174.0**	**0.0**	**174.0**	**222.0**	**0.0**	**222.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	0.0	174.0	0.0	174.0	222.0	0.0	222.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 02 02	**წყლის ხიხტვმის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	**23.5**	**10.0**	**0.0**	**10.0**	**15.0**	**0.0**	**15.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	4.6	10.0	0.0	10.0	15.0	0.0	15.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	18.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 02 03	**მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია**	**770.7**	**494.9**	**471.9**	**23.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	24.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	746.1	494.9	471.9	23.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 02 04	**სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	**1,229.5**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	608.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	621.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 02 05	**დასუფთავების ღონისძიებები**	**504.0**	**337.1**	**0.0**	**337.1**	**313.0**	**0.0**	**313.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	504.0	337.1	0.0	337.1	313.0	0.0	313.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 04	**სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა--რეაბილიტაცია**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 05	**სოფლის მხარდაჭერის პროგრამა**	**804.9**	**844.6**	**844.6**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	401.6	554.7	554.7	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	403.3	289.9	289.9	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 00	**განათლება**	**1,159.1**	**1,210.9**	**0.0**	**1,210.9**	**1,490.7**	**0.0**	**1,490.7**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	1,159.1	1,210.9	0.0	1,210.9	1,490.7	0.0	1,490.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 01	**სკოლამდელი განათლების დაფინანსება**	**799.0**	**863.3**	**0.0**	**863.3**	**1,062.7**	**0.0**	**1,062.7**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	799.0	863.3	0.0	863.3	1,062.7	0.0	1,062.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 02	**საჯარო სკოლების დაფინანსება**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 03	**ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი"**	**273.0**	**266.9**	**0.0**	**266.9**	**317.3**	**0.0**	**317.3**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	273.0	266.9	0.0	266.9	317.3	0.0	317.3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 04	**პროფესიული განათლება**	**87.1**	**80.7**	**0.0**	**80.7**	**110.7**	**0.0**	**110.7**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	87.1	80.7	0.0	80.7	110.7	0.0	110.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 00	**კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები**	**941.8**	**865.3**	**0.0**	**865.3**	**995.8**	**0.0**	**995.8**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	941.8	865.3	0.0	865.3	995.8	0.0	995.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

10

9

0501	**სპორტის განვითარების ხელშეწყობა**	**429.3**	**428.5**	**0.0**	**428.5**	**480.1**	**0.0**	**480.1**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	429.3	428.5	0.0	428.5	480.1	0.0	480.1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
050101	**სპორტული ღონისძიებების დაფინანსება**	**14.6**	**22.5**	**0.0**	**22.5**	**23.5**	**0.0**	**23.5**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	14.6	22.5	0.0	22.5	23.5	0.0	23.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
050102	**ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ოლხვეთის" ხელშეწყობის ღონისძიებები**	**301.9**	**292.5**	**0.0**	**292.5**	**326.6**	**0.0**	**326.6**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	301.9	292.5	0.0	292.5	326.6	0.0	326.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
050103	**სტადიონების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები**	**14.3**	**15.0**	**0.0**	**15.0**	**15.0**	**0.0**	**15.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	14.3	15.0	0.0	15.0	15.0	0.0	15.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
050104	**უფხბურთის განვითარების ხელშეწყობა**	**98.5**	**98.5**	**0.0**	**98.5**	**115.0**	**0.0**	**115.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	98.5	98.5	0.0	98.5	115.0	0.0	115.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
0502	**კულტურის განვითარების ხელშეწყობა**	**502.1**	**419.0**	**0.0**	**419.0**	**499.4**	**0.0**	**499.4**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	502.1	419.0	0.0	419.0	499.4	0.0	499.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
050201	**კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღირსეული განვითარების ხელშეწყობა**	**437.8**	**368.2**	**0.0**	**368.2**	**425.9**	**0.0**	**425.9**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	437.8	368.2	0.0	368.2	425.9	0.0	425.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
050202	**ძეგლთა დაცვის ხარჯები**	**22.1**	**10.0**	**0.0**	**10.0**	**12.0**	**0.0**	**12.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	22.1	10.0	0.0	10.0	12.0	0.0	12.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
050203	**კულტურული მემკვიდრეობის ღონისძიებების დაფინანსება**	**0.0**	**5.0**	**0.0**	**5.0**	**17.5**	**0.0**	**17.5**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	0.0	5.0	0.0	5.0	17.5	0.0	17.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

050204	**ტელევიზიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა**	**42.2**	**35.8**	**0.0**	**35.8**	**44.0**	**0.0**	**44.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	42.2	35.8	0.0	35.8	44.0	0.0	44.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
0503	**ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**	**8.0**	**13.0**	**0.0**	**13.0**	**11.5**	**0.0**	**11.5**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	8.0	13.0	0.0	13.0	11.5	0.0	11.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
0504	**რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**	**2.4**	**4.8**	**0.0**	**4.8**	**4.8**	**0.0**	**4.8**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	2.4	4.8	0.0	4.8	4.8	0.0	4.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
0600	**მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**374.5**	**415.8**	**2.8**	**413.0**	**476.7**	**0.0**	**476.7**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	374.5	415.8	2.8	413.0	476.7	0.0	476.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
0601	**საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**	**83.5**	**108.9**	**0.0**	**108.9**	**100.5**	**0.0**	**100.5**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	83.5	108.9	0.0	108.9	100.5	0.0	100.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
0602	**ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა**	**15.9**	**14.6**	**0.0**	**14.6**	**23.4**	**0.0**	**23.4**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	15.9	14.6	0.0	14.6	23.4	0.0	23.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
0603	**მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**	**203.9**	**199.7**	**0.0**	**199.7**	**227.8**	**0.0**	**227.8**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	203.9	199.7	0.0	199.7	227.8	0.0	227.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
060301	**ავადმყოფთა სოციალური დახმარება**	**64.6**	**45.6**	**0.0**	**45.6**	**55.6**	**0.0**	**55.6**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	64.6	45.6	0.0	45.6	55.6	0.0	55.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
060302	**სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები)**	**1.9**	**3.0**	**0.0**	**3.0**	**5.0**	**0.0**	**5.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	1.9	3.0	0.0	3.0	5.0	0.0	5.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
060303	**ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები (9 მაისის ერთჯერადი დახმარება)**	**11.8**	**2.7**	**0.0**	**2.7**	**4.0**	**0.0**	**4.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	11.8	2.7	0.0	2.7	4.0	0.0	4.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

060304	**მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი),დედამამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი**	**8.5**	**13.8**	**0.0**	**13.8**	**13.7**	**0.0**	**13.7**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	8.5	13.8	0.0	13.8	13.7	0.0	13.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
060305	**უმწეოთა სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება**	**78.8**	**83.6**	**0.0**	**83.6**	**94.5**	**0.0**	**94.5**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	78.8	83.6	0.0	83.6	94.5	0.0	94.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
060306	**ბავშვის შეძენახთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი**	**32.0**	**45.0**	**0.0**	**45.0**	**49.0**	**0.0**	**49.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	32.0	45.0	0.0	45.0	49.0	0.0	49.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
060307	**უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება**	**6.3**	**6.0**	**0.0**	**6.0**	**6.0**	**0.0**	**6.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	6.3	6.0	0.0	6.0	6.0	0.0	6.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
0604	**უმწეოთა ერთჯერადი დახმარება**	**50.0**	**55.0**	**0.0**	**55.0**	**55.0**	**0.0**	**55.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	50.0	55.0	0.0	55.0	55.0	0.0	55.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
0605	**ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება**	**19.5**	**30.0**	**0.0**	**30.0**	**30.0**	**0.0**	**30.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	19.5	30.0	0.0	30.0	30.0	0.0	30.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
0606	**მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა**	**1.7**	**7.6**	**2.8**	**4.8**	**40.0**	**0.0**	**40.0**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	1.7	7.6	2.8	4.8	40.0	0.0	40.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

ᲬᲚᲔᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲛᲫᲘᲚᲠᲔᲑᲘ

სიყვარულით გარემოსილი

ჩემი ბავშვობის დროს ხობში ერთადერთი საკანცელარიო და წიგნების მაღაზია იყო, რომელსაც მოსწავლეები ხშირად ვსტუმრობდით. მახსოვს, დაბალ კლასში როცა ვიყავი, რამე ნივთის საყიდლად შესულს ნათელა დეიდა როგორ გამომკითხავდა რამდენ ხაზიანი, რამდენ ფურცლიანი რვეული გინდა? ფანქრები თუ ფლომასტერი? და ა.შ... ალბათ ფიქრობდა, შეცდომით არაფერი წაიღონო პატარებმა. მეც სულით და გულით ვპასუხობდი. მსიამოვნებდა რომ ასე ყურადღებით მექცეოდა „ნათელა დეიდა“ (ყველა ასე მივმართავდით მას).

...და მოხდა ისე, რომ ქალბატონი ნათელა ახლა ჩემი უახლოესი მეზობელი და ახლობელია. ისევ ისეთივე ყურადღებიანი, მოსიყვარულე და კეთილია, როგორიც ბავშვობიდან მახსოვს. თავისი საქმიანობიდან გამომდინარე მაშინ თითქმის მთელ ქალაქს იცნობდა და ახლაც ყველას ამბავს დიდი ინტერესით მოიკითხავს ხოლმე.

კითხვას შეჩვეულ ქალბატონს ხშირად ნახავთ ჟურნალ-გაზეთებით ხელში, დღესაც ჩვენი გაზეთის აქტიური მკითხველი და გულშემატკივარია, რედაქციელებზე მათი ოჯახის წევრებთან ერთად, ყველა წვრილმანს საგულდაგულოდ გამომკითხავს. საინფორმაციო გამოშვებებსაც ყურადღებით უსმენს, ცდილობს ყოველდღიურობას არ ჩამორჩეს და გამოსდის კიდეც.

„ადამიანის ჭეშმარიტი დანიშნულებაა იცხოვროს და არა იარსებოს“ უთქვამს ბრძენს და მართლაც ჭეშმარიტი ადამიანის ცხოვრების მაგალითია ქალბატონი ნათელა. მან მეუღლესთან, გული ქაქუთიასთან ერთად პატიოსანი შრომით შეინარჩუნა და წინ წასწია წინაპართა დანატოვარი სულიერი თუ მატერიალური ღირებულებები, ის ლამაზი და დიდი ოჯახის დედაბოძია. მას სიყვარულითა და მოწიწებით დაჰფოფინებენ შვილები და შვილიშვილები. ხოლო ამ ქვეყანას ახლადმოვლენილი შვილთაშვილი „ბატონი“ საბა ქაქუთია ნათელა ბებოს ყველაზე დიდი სიხარული და ცხოვრების აზრია.

ცხოვრების ამ ეტაპამდე ისე არ მოსულა ქალბატონი ნათელა, რომ წუთისოფელს მისთვის ტკივილები არ მიყენებინოს. ყველაზე დიდი ტკივილი კი მეუღლის, გული ქაქუთიას გარდაცვალებაა. მისთვის დღემდე დიდი ტრაგედიაა ცხოვრების მეგზურის ნაადრევად დაკარგვა.

ქალბატონ ნათელას ახლა ის დრო უდგას, როცა ადამიანი უნდა იყოს ახლობლების გარემოცვაში, მათგან გრძნობდეს სითბოსა და სიყვარულს, როცა უნდა დატკბე წარსული ცხოვრების მოგონებებით.

სწორედ ცხოვრების წესის ამ პრინციპით არის ბედნიერი ნათელა ფაფია-ქაქუთია, რომელსაც ხობელები კარგად იცნობენ, ეს წერილიც იმ დიდი სიყვარულის გამოხატულებაა, რომელსაც ის დღესაც გრძნობს და რომელიც თავისი შრომით, თავმდაბლობით, პატიოსნებითა და საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობით დაიმსახურა.

15 იანვარს ქალბატონი ნათელა 82 წლის გახდა, გილოცავთ თმებდათოვლილო, საყვარელო ქალბატონო იუბილეს, ჯანის სიმრთელეს და წელთა სიმრავლეს გისურვებთ.

კიდევ მრავალ შობა-ახალ წელს დასწრებოდეთ.

ᲯᲣᲚᲘᲔᲢᲐ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲐ.

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲗᲮᲝᲕᲐᲠᲘ

ᲙᲐᲠᲚᲝ ᲯᲝᲑᲐᲕᲐ

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენლის, ბატონ კარლო ჯობავას გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ბატონმა კარლომ თავისი მოღვაწეობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი შრომითი საქმიანობა იწყება პედაგოგიური საქმიანობით, იყო პირველი ხორგის საშუალო სკოლის დირექტორი, ხობის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორი. 2007-2009 წლებში–ქ. ხობის რწმუნებული, 2011 წელს მიენიჭა „ფაზისის საერო აკადემიის“ აკადემიკოსის წოდება, იყო აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.

ერთგულება, კეთილსინდისიერება, გულწრფელობა და პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე, ამ ღირებულებებით ხასიათდება მთელი მისი საზოგადოებრივი საქმიანობა განვლილი ცხოვრების მანძილზე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს და პატივი მივაგოთ ბატონი კარლო ჯობავას ნათელ ხსოვნას.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა მწუხარებას გამოთქვამს ღირსეული ხობელისა და ღვაწლმოსილი მუშაკის, გამგეობის ყოფილი თანამშრომლის

ᲙᲐᲠᲚᲝ ᲯᲝᲑᲐᲕᲐᲡ

გარდაცვალების გამო. კარლო ჯობავა იყო პირველი ხორგის საშუალო სკოლის დირექტორი, ხობის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორი. ქ. ხობში გამგეობის რწმუნებული, 2011 წელს მიენიჭა „ფაზისის საერო აკადემიის“ აკადემიკოსის წოდება, იყო აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს.

ᲑᲕᲐᲥᲕᲡ ᲣᲗᲕᲐᲚᲐᲕᲘ ᲤᲔᲠᲘᲗᲐ...

ხობის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთი ლამაზი დღე აჩუქა, რომლის მიზანი იყო, ქართულ კალამს შეჭიდებული ახალბედა მოზარდი თაობის წარმოჩენა, რისთვისაც ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს მიმართეს, შედეგმაც არ დააყოვნა და მრავალი პოეტური ნიჭით დაჯილდოებულმა ახალბედამ მოგვმართა, საბოლოოდ ყველაფერი შეჯერდა და დადგა ნანატრი დღე–სიყვარულით მოცულ და გაბრწყინებულ–ნორჩ ლიტერატორებთან შეხვედრა, რომელსაც ხობის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეები მაკა ჯგერენაია და გოჩა სიჭინავა უძღვებოდნენ.

ღონისძიების მონაწილეები: თემურ და ლალი კუკავები (ხამისკურის საჯარო სკოლა), თეონა კუტალია, მეკო ზარანდია, ნინი ნარსია (ხეთის საჯარო სკოლა), თამაზი კვიკვინია (პირველი მაისის საჯარო სკოლა), ანი ცანავა, ჯუმბერ ჭიჭინაძე (სკოლა „არეა“), ბექა ჩიტაია (ხობის №1 საჯარო სკოლა), მაკა ჯგერენაია (ხობის №2 საჯარო სკოლა), ტატო გერგაია (ნოჯიხევის საჯარო სკოლა) საზოგადოების წინაშე თავიანთი მოკრძალებული ფერადოვანი პოეტური სამყაროთი წარსდგნენ. გაგვაცნეს თავიანთი ნაფიქრალი, განცდა, შინაგანი სულიერი თრთოლვა, სევდა თუ სიხარული, შეხედულება ცხოვრებაზე, წუთისოფელზე... რაზე არ წერენ ისინი მათი ცხოვრებისეული ფილოსოფია, სიყვარულის თემა... ეჭიდებიან, ელოლიავებიან ქართულ სიტყვასა და რა გზასაც არ უნდა დაადგეს თითოეული მათგანი, ეს იქნება უთუოდ კეთილი გზა, რამეთუ ქართულ ლექსთან, ისევე, როგორც ქართულ ჰიმნებთან წილნაყარობა ესაა უდაოდ სიბრძნესთან, ზნეკეთილობასთან წილნაყარობა.

ღონისძიებას თავისებური ხიბლი შემატა ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველების სალომე ალანიას (ხობის №1 საჯარო სკოლა) და გიორგი ბერაიას (ნოჯიხევის საჯარო სკოლა) მიერ წაკითხულმა საყვარელი პოეტების ლექსებმა.

ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართეს ადგილობრივი ხელისუფლების, კულტურის ცენტრის მესვეურებმა. ბედნიერი და სხივნათელი მომავლის გზები უსურვეს მათ პოეტური ნიჭის შემდგომი განვითარების გზაზე. პოეტმა ლაშა გვასალიამ კი დააკვალიანა ისინი და წარმატებები უსურვა...

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა ედიშერ ჯობავამ ღონისძიების ყველაზე პატარა მონაწილეს ბექა ჩიტაიას განსაკუთრებული საჩუქარი–მარიამ ღვთისმშობლის ხატი გადასცა, ხოლო მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებმა ღონისძიების თითოეული მონაწილე წიგნებით დაასაჩუქრეს.

ᲓᲝᲓᲝ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐ

ᲡᲐᲛᲐᲓᲚᲝᲑᲔᲚᲘ

მძიმე მდგომარეობაში მყოფმა მივმართე ხობის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებას, საშიშროება იყო ნაოპარაციევ ფეხზე მეორედ ქირურგიული ჩარევისა და ფეხის ამპუტაციისა. იქ პროფესიონალი მედ.პერსონალი და საოცრად თბილი, შინაური გარემო დამხვდა...

თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო თავისი საქმის კარგად მცოდნე ექიმს, ქირურგ ავთო გვალიას, რომლის უტყუარმა დიაგნოზმა და სწორმა მკურნალობამ შედეგი გამოიღო და ფეხი შემინარჩუნა.

ავთო ექიმთან ყოველი ვიზიტი ჩემთვის დიდი შვებაა, რადგან მჯერა მისი პროფესიონალიზმის, მსიამოვნებს მასთან საუბარი და დადებითი ემოციებით დატვირთული ვბრუნდები სახლში. მას თავისი პროფესიის კარგად ცოდნის გარდა, აწუხებს ნებისმიერი პაციენტის სულიერი თუ ფიზიკური ტკივილი და საერთოდ, ესმის ცხოვრებაზე თითქმის ყველაფერი, რაც ასე უშუალოს ხდის ადამიანებთან ურთიერთობაში.

ჩემს გამოჯანმრთელებაში ასევე დიდი წვლილი მიუძღვის მედდას ქალბატონ მაია კუკავას. დიდი მადლობა ამ ღვთისნიერ ქალბატონს.

გილოცავთ შობა-ახალ წელს, ჯანის სიმრთელე, ხვავი, ბარაქა და პროფესიული წარმატებები არ მოგკლებოდეთ.

იხაროს თქვენმა მადლიანმა მარჯვენამ, მეამაყება ხობის სამედიცინო საზოგადოებაში თქვენნაირი ადამიანების არსებობა.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲙᲐᲭᲐᲠᲐᲕᲐ,
ᲜᲝᲯᲘᲮᲔᲕᲘ.

ტკივილიანი დღე დადგა კოლხეთის პატარა სოფელ ხორგაში. 57 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან დიდად პატივსაცემი და საყვარელი ადამიანი, კარგი მეგობარი, შესანიშნავი მოძღვარი, კარგი მეუღლე და მამა, ბატონი კარლო ჯობავა.

კაცი, რომელსაც ძალუმად უყვარდა თავისი კუთხე, პატივს სცემდა ქართულ ტრადიციებს და ადათებს. ის მრავალი ათეული წელი ემსახურა ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს და, როგორც სკოლის დირექტორმა, სამუდამო ადგილი დაიმკვიდრა იმ ადამიანების გულში, ვისაც ბატონი კარლოს თუნდაც ერთი გაკვეთილი მოუსმენია. ის არამარტო საგნის მასწავლებელი იყო, არამედ საკუთარ მოსწავლეებს ცხოვრებას, სიყვარულს, ადამიანურ ურთიერთობებს ასწავლიდა. ლაღი, ხალასი ბუნებისა იყო, პოეზიის მეხოტბე და მჭერმეტყველი.

ბატონო კარლო, დღეს ცრემლიანი თვალებით იხსენებენ თანატოლები, სულიერი მეგობრები, თქვენს მიერ წაკითხულ „აფხაზურას“. გჯეროდეთ, მათი გულებიდან არასოდეს ამოიშლებით. თქვენს ეზოში ჯერაც ისმის თქვენი მაჯისცემა, თუმცა აუტანელმა ტკივილებმა გამოგლიჯა თქვენი თავი საყვარელ ადამიანებს, მეგობრებს, მეზობლებს, ნათესავებს. თქვენ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნეთ სულიერი სიმშვიდე, რწმენა, იმედი მომავლისა.

თბილი თვალებით შესცქეროდით თქვენს შვილებს სოფოს და გიორგის. ისინი ხომ თქვენი ცხოვრების ღირსეული გამგრძელებლები არიან, თქვენს სიყვარულს და მოგონებას გულში სათუთად შეინახავენ, ჩვენც, მათთან ერთად, დიდ პატივს მოგაგებთ და ჩვენთვის საყვარელ კარლო მასწავლებლად დარჩებით. არასოდეს დაგივიწყებთ თქვენი პედაგოგიური კოლექტივი. მათთან ერთად ხომ რამდენიმე ათეული წელი ნაბიჯ-ნაბიჯ გივლიათ, მრავალი კეთილი საქმე გიკეთებიათ არამარტო სოფლისთვის, არამედ რაიონისთვისაც. ამიტომაც დაიმკვიდრეთ ადგილი თითოეული ხორგელის თუ ხობელის გულში, გვჯერა მარადიულ სასუფეველს დაიმკვიდრებთ და დააკლდებით მთელ რაიონს.

რამდენი ჩვენგან წასული კაცის
ვერ გადავიხდით ვერასდროს
ამაგს,
მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც–
კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს.
თქვენი დაკარგვის მწარეა განცდა.
ვერ ამოვივსებთ ცარიელ ალაგს,
რადგან ვერცერთი ვერ მოვალთ
თქვენთან
კაცთან, რომელიც დააკლდით
ქალაქს.
და თითქოს ვითვლით ისევ და ისევ
გულში დაგროვილ სიკეთის
მარაგს,
და ღმერთს ვთხოვთ, ღმერთო,
გვაცხოვრე ისე,
რომ ჩვენც ოდესმე დავაკლდეთ
ქალაქს.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲝᲠᲒᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ.

გაზეთ „ხობის მოამბეს“ რედაქცია დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი გაზეთის მუდმივი ავტორი და მკითხველი, აქტიური შემოქმედი და გაზეთის გულშემატკივარი ბატონი

ᲙᲐᲠᲚᲝ ᲯᲝᲑᲐᲕᲐ

და უსამძიმრებს მის ოჯახსა და ახლობლებს.

პირველი ხორგის ყოფილი საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდებული პიროვნება და ხელმძღვანელი, ერუდირებული ადამიანი, საუკეთესო ოჯახის მამამთავარი ბატონი

ᲙᲐᲠᲚᲝ ᲯᲝᲑᲐᲕᲐ

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და ახლობლებს.

ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების მთავარი სპეციალიტები სამძიმარს უცხადებენ პირველი ხორგის საბავშვო ბაღის მთავარ სპეციალისტს მარინა მაშავას მეუღლის

ᲙᲐᲠᲚᲝ ᲯᲝᲑᲐᲕᲐᲡ

გარდაცვალების გამო

გილოცავთ ნათლისღების საუფლო დღესასწაულს

ნათლისღების დღესასწაული ერთ-ერთია თორმეტ საუფლო დღესასწაულთა შორის. ამ დღეს ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში წყალკურთხევა აღესრულება. ნათლისღების დღესასწაულზე ხდება წყლის კურთხევა, ანუ დიდი აიაზმა. ნაკურთხ წყალს უფლის მიერ კურთხეული იორდანეს მადლი ენიჭება და იგი უხრწნელების თვისებებს იძენს. მისი სხურებით იწმინდება ტაძრები, სახლები, იგი მაკურნებელი ძალისაა. ნაკურთხი წყალი მორწმუნეებს შინ მიაქვთ და მთელი წლის განმავლობაში უზმოზე მცირეოდენს მიირთმევენ, განსაკუთრებით ავადმყოფობისა და განსაცდელის დროს.

ეს არის დღე, როცა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მდინარე იორდანეში იოანე ნათლისმცემლისაგან ნათელ იღო.

ამ დღესასწაულს ღვთის განცხადებას უწოდებენ, რადგან მაცხოვრის ნათლისღებისას ქვეყნიერებას ერთარსება ღმერთის სამგვარობა გამოეცხადა.

წმიდა იოანე დამასკელის თქმით, უფალმა მიიღო ნათელი, იმიტომ, რომ წყლით განებანა კაცთა ცოდვები, „წყლის ბუნება“ გაენათლებინა და კაცთათვის ნათლისღების სახე და მაგალითი ეჩვენებინა. ნათლისღებით ძველი სჯული დასრულდა და დასაბამი დაედო ახალს. ქრისტემ წყლით და სულიწმიდით განაახლა ცოდვებისაგან დამძიმებული კაცის ბუნება.

ნათლისღებისას ქრისტიანი უერთდება ქრისტეს სხეულს. წყალი სხეულს განწმენდს, სულიწმიდა კი, გონებისათვის მიუწვდომლად, განსწმენდს სულს. ნათლობით ადამიანს ყველა ცოდვა მიეტევება და იგი ღვთის შვილობის პატივს იღებს, მისი სულიერი ძალები ახლდება.

საახალწლო ზეიმები მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში

31 დეკემბერს ქ. ხობში, კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ 18:00 საათიდან საბავშვო ბაღების აღსაზრდელებმა მაყურებელს საბავშვო შოუ-პროგრამა „მოდით ერთად შევხვდეთ ახალ წელს“ წარუდგინეს. ლამაზად ჩაცმული მხიარული გოგო-ბიჭები სცენაზე ერთმანეთს ცეკვებით და სიმღერებით ენაცვლებოდნენ. 20:00 საათზე უამინდობის გამო კონცერტი კულტურის სახლის დიდ დარბაზში გაგრძელდა. კონცერტზე ახალშექმნილი ახალგაზრდული მუსიკალური ბენდი „2015 წლიდან“, ხუთი სიმღერის პრემიერით წარსდგა მაყურებლის წინაშე. სიმღერები შეასრულეს სოლო მომღერლებმაც.

ხობის მუნიციპალიტეტს ახალი წლის ღამეს პოპულარული ახალგაზრდა ქართველი მომღერლები ეწვივნენ. პაატა თედიაშვილმა, მარიამ ელიაშვილმა, გიორგი დათიაშვილმა, ანა მალაზონიამ, ქეთი გომართელმა და ანი სირაძემ ცნობილი სიმღერები შეასრულეს და ახალი წელი მიულოცეს ხობელებს. ღონისძიებებს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

25 დეკემბერს ხობის №2 და ქვემო ქვალონის საბავშვო ბაგა-ბაღებში გაიმართა საახალწლო ზეიმი. ბაღის აღსაზრდელებმა წარმოადგინეს საინტერესო და ულამაზესი სანახაობა და განასახიერეს ზღაპრული საახალწლო სამყარო.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, გამგებელი გოჩა ქაჯაია და სხვა ხელმძღვანელი პირები.

მოლოცვა

ბადრი ლომაიას!

ბატონო ბადრი!

გილოცავთ იუბილეს, დაბადებიდან 75-ე წლისთავს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ახალ-ახალ წარმატებებს თქვენს შემოქმედებით საქმიანობაში.

კიდევ ბევრჯერ გაგეხარებინოთ თქვენი ახლობლებისა და მეგობრების გული თქვენი ყოფნით და მიღწევებით მუნიციპალიტეტის „საჭადრაკო ორბიტაზე“.

ხობის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო კლუბ „ლაზიერის“ წევრები.

P.S. გაზეთ „ხობის მოამბეს“ რედაქცია უერთდება მილოცვას ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველსა და აქტიურ თანამშრომელს ულოცავს იუბილეს და უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემდგომ წარმატებებს.

საახალწლო ღონისძიებები ხობის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში

საახალწლო ღონისძიებები ხობის მუნიციპალიტეტის საბავშვი ბაგა-ბაღებში გრძელდება. ხობის მუნიციპელიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია სხვა თანამდებობის პირებთან ერთად, ქ. ხობის№1, ქ. ხობის №3, ნოჯიხევის №2 საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა ზეიმს დაესწრო. პატარა შემსრულებლებთან ერთად ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ბაღის მასწავლებლები. თოვლის ბაბუასთან ერთად ადგილობრივმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიულოცეს პატარებს ახალი წელი და საახალწლო საჩუქრები დაურიგეს.

გამოიწერეთ გაზეთი „ხობის მოამბე!“

ძვირფასო მკითხველო!

გაზეთ „ხობის მოამბეს“ რედაქცია გულთბილად გილოცავთ ახალი წლის მობრძანებას. სიუხვე, ჯანის სიმრთელე, გამრავლება, ულევი სიხარული დაბედებოდეს თითოეულ თქვენთაგანს და თქვენს ოჯახებს.

„ხობის მოამბე“–მუნიციპალიტეტის გაზეთია. იგი მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების თქვენამდე მოტანას, ხელისუფლების საქმიანობაში თქვენს აქტიურ ჩართვას, თქვენი მოსაზრებების სამზეოზე გამოტანას ემსახურება.

გამოიწერეთ „ხობის მოამბე“. მისი ღირებულება ერთი წლით 17 ლარია, ნახევარი წლით–8.50, 3 თვით–4.20, ერთი თვით 1.40 ლარი.

გაზეთების შეძენა შეგიძლიათ ქ. ხობში, ავტოსადგურთან მდებარე საგაზეთო ჯიხურში.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალში.

ჩვენი რეკვიზიტებია: GE05LB0610006534020202(GEL) ს/კოდი: 244690250.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:

თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,

თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.

რედაქტორი–მანანა შულაია.

ჟურნალისტი–ნინო გერგაია.

კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“

მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.